ხელშეკრულება №07-04/6 გ.შ.
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. ბათუმი **23 იანვარი 2019 წელი**

შემსყიდველი: სსიპ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სააგენტო, დირექტორის თეიმურაზ კახიძის სახით
მისამართი: ქ. ბათუმი, ჯავახიშვილის 70/72
საკონტაქტო ტელეფონები: (0422) 24 78 82; 599 27 87 94
საბანკო რეკვიზიტები: აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება - სახაზინო სამსახური: ს.ს. ,,თიბისი ბანკი''
ბანკის კოდი: TBCBGE22
ანგარიში: GE62TB7901736010100015
საიდენტიფიკაციო კოდი 245632427

მიმწოდებელი: შპს „CSC BATUMI", დირექტორის ამირან გოგრაჭაძის სახით
მისამართი: ქ. ბათუმი, ზ. გორგილაძის ქ. № 86
საკონტაქტო ტელეფონები: 593 24 24 39
საბანკო რეკვიზიტები: ს.ს. „თიბისი ბანკი"
ბანკის კოდი: TBCBGE22
ანგარიში:GE52TB7563236080100001
საიდენტიფიკაციო კოდი: 448386425
ერთის მხრივ, სსიპ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სააგენტო (შემდგომში ,,შემსყიდველი''), ხოლო მეორეს მხრივ, შპს „CSC BATUMI" (შემდგომში ,,მიმწოდებელი''), ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ'' საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1 პუნქტის ,,ს[1]'' ქვეპუნქტის საფუძველზე ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე ,,მიმწოდებელი'' თანახმაა მიაწოდოს ,,შემსყიდველს'' საოფისე მანქანა - დანადგარები, აღჭურვილობა და საკანცელარიო ნივთები კომპიუტერების, პრინტერების და ავეჯის გარდა; (CPV) კოდი: 30100000, ხოლო კლასიფიკატორის დანაყოფები: 30125100, 30125110; ,,შემდგომში საქონელი'', ხოლო ,,შემსყიდველი'' კისრულობს ვალდებულებას მიიღოს დაკვეთილი საქონელი და გადაიხადოს მისი ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით.
1.2. მთლიანი სახელშეკრულებო თანხა შეადგენს 935 (ცხრაას ოცდა თხუთმეტი) ლარს.
1.3. შესყიდვის ობიექტის დასახელება, რაოდენობა, ერთეულის ფასი, საერთო ფასი, მიწოდების ვადები განისაზღვრება ფორმა №3-ის მიხედვით, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

2. საქონლის მიწოდების პირობები.

2.1. საქონლის მიწოდების ვადაა ხელშეკრულების გაფორმების დღიდან 2019 წლის 1 ივლისამდე.

3. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი.

3.1. შესყიდვების ობიექტის მიღება–ჩაბარება განხორციელდება შესყიდვის ობიექტის მიწოდების შემდეგ შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტის ან შესაბამისი სხვა დოკუმენტის გაფორმებით.
3.2. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარებისათვის მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს:
საგადასახადო ანგარიშფაქტურა ან/და სასაქონლო ზედნადები მიწოდებული საქონლის დასახელების, რაოდენობის, ერთეულის ფასის და საერთო ღირებულების მითითებით.

4. ანგარიშსწორება

4.1. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.
4.2. ანგარიშსწორება ,,მიმწოდებელთან'' განხორციელდება ლარებში.

4.3. ,,მიმწოდებლის'' მიერ ,,შემსყიდველზე'' მიწოდებული საქონელის/მომსახურების ღირებულება ანაზღაურებული იქნება ფასების ცხრილის დანართი №3-ის შესაბამისად. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების თარიღიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.
4.4. აუთვისებელი (გამოუყენებელი) თანხები ავტომატურად უბრუნდება "შემსყიდველს".

5. გარანტია

5.1. ,,მიმწოდებელი''იძლევა გარანტიას, რომ მიწოდებული საქონელი/მომსახურება იქნება ხარისხიანი და რეგისტრირებული საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
5.2. ,,მიმწოდებელი'' ვალდებულია წუნდებული საქონლის შესახებ შეტყობინების მიღებიდან დაუყონებლივ განახორციელოს დაწუნებული საქონლის ან მისი ნაწილის შეცვლა შემსყიდველის მხრიდან დამატებითი დანახარჯის გაწევის გარეშე.

6. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

6.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.
6.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.
6.3. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან ,,შემსყიდველისათვის'' პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
6.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

7. უფლებების გადაცემა

7.1. ,,მიმწოდებელმა'' ,,შემსყიდველს'' წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მესამე პირს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები.

8. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

8.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყონებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.
8.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.
8.3. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში `მიმწოდებელს'' ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 10 პროცენტის ოდენობით (შესაბამისი თანხის ჩვენებით), რომლის გადახდა მოხდება მისთვის ასანაზღაურებელი თანხიდან გამოქვითვის საშუალებით ან მის მიერ ამ თანხის გადახდის გზით (შემსყიდველის წერილობითი მოთხოვნის მიღებიდან 10 დღის განმავლობაში).
8.4. პირგასამტეხლო დაწესებულებას არ ანთავისუფლებს შემსყიდველის მიერ მივლინებული ინსპექტირების ჯგუფის ან/და მაკონტროლებელი ორგანოს დასკვნის საფუძველზე გამოვლინებული ზედმეტად მოთხოვნილი თანხის შესრულებული სამუშაოდან დაკლებისაგან. ამ შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება მთლიანად ან მისი რომელიმე პუნქტი.

9. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

9.1. ,,შემსყიდველს'' უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს ტექნიკური კონტროლი და/ან გამოცადოს საქონელი. ,,შემსყიდველმა'' წერილობითი სახით და

თავისდროულად უნდა აცნობოს ,,მიმწოდებელს'', ამ მიზნებისათვის განკუთვნილი თავისი წარმომადგენლების შესახებ.
9.2. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს სსიპ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სააგენტოს სამეურნეო დარგში მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ჯემალ ხიმშიაშვილი, რომელიც არ იმყოფება მიმწოდებელთან ინტერესთა კონფლიქტში.
9.3. ,,მიმწოდებელი'' ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა, წუნდებული საქონლის შეცვლა და კონტროლის შედეგად დაზიანებული საცდელი ნიმუშების ღირებულების დაფარვა.
9.3. ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს ,,მიმწოდებელს'' მოცემული ხელშეკრულების გარანტიისა ან სხვა ვალდებულებებისაგან.

10. ფორს-მაჟორი

10.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს სანქციების გამოყენებას თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.
10.2. ამ მუხლის მიზნებისათვის "ფორს-მაჟორი'' ნიშნავს მხარეებისათვის გადასალახავ და მათი კონტროლისაგან დამოკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული ,,შემსყიდველისა'' და ან ,,მიმწოდებლის'' შეცდომებსა და დაუდევრობასთან.
10.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყონებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხრისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

11. სადაო საკითხების გადაწყვეტა

11.1. ,,შემსყიდველმა'' და ,,მიმწოდებელმა'' ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.
11.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში ,,შემსყიდველი'' და ,,მიმწოდებელი'' ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის და მიხედვით მიმართოს სასამართლოს.

12. გამოყენებული სამართალი

12.1. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

13. ხელშეკრულების ენა

13.1. ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის სრულდება ქართულ ენაზე.

14. შეტყობინება

14.1. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.
14.2. შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და ძალაშია 2019 წლის 31 აგვისტოს ჩათვლით.

16. გადასახადები და ბაჟები

16.1. მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ გადასახადების, ბეგარის, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე.
ხელშეკრულება შესრულებულია და ხელმოწერილია ორ ეგზემპლარად და ინახება ხელშეკრულების მონაწილე მხარეებთან.

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
სსიპ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სააგენტო დირექტორი	შპს „CSC BATUMI“ დირექტორი
თეიმურაზ კახიძე	ამირან გოგრაჭაძე

ინფორმაცია ფასებისა და მიწოდების გრაფიკის შესახებ ფორმა № 3

№	საქონლის აღწერილობა	განზ. ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ფასი (ლარი)	საერთო ფასი (ლარი)	მიწოდების ადგილი და ვადა
1	კარტრიჯი CF233A, HP 33A	ცალი	4	65,00	260,00	ქ. ბათუმი, ზ. გორგილაძის ქ. №86. ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან - 2019 წლის 1 ივლისამდე
2	კარტრიჯი 85 A		15	35,00	525,00	
3	ლაზერული შავ-თეთრი კარტრიჯის ტონერით შევსება		10	15,00	150,00	
სულ					**935,00**	

„შემსყიდველი“

სსიპ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
დასაქმების სააგენტო
დირექტორი

თეიმურაზ კახიძე

„მიმწოდებელი“

შპს „CSC BATUMI“

დირექტორი

ამირან გოგრაჭაძე